

№ 14-12/39

" 11 " 01 2012 წ/ტ

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის დირექტორს
ქ-ნ ლ. თოდუას

ქალბატონო ღია,

2011 წლის 26 ^{ექტემბერი} ~~სექტემბერი~~ №2-087 წერილის (შემ. №3792 27.12.2011წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ საცხოვრებელი კორპუსების გაზომომარაგების ქსელის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაც მოიცავს ასევე გაზის ინდივიდუალური მრიცხველების მომხმარებლის ტერიტორიის გარეთ (სადარბაზოებში) გამოტანის სამუშაოებს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ წარმოებს მოქმედი სამშენებლო ნორმების, უსაფრთხოების წესებისა და ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით.

უნდა აღინიშნოს, რომ მიღები, რომლითაც ხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების გაზომომარაგების ქსელის შეცვლა, წარმოადგენს მეტალოპლასტიკის „ALUPEX“-ის (PE-Xc/AL/PE-Xb) გაზის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილ მრავალშრიან მილებს, რომელთა გამოყენებაც და გადაბმის წესი (ფიტინგების მეშვეობით) პრაქტიკულად გამოირიცხავს გაზის გაჟონვას და უსაფრთხოების თვალსაზრისით სრულიად მისაღებია. ამასთან, გამოირიცხულია მილების კოროზიაც.

ასევე გაცნობებთ, რომ მეტალოპლასტიკის მილების გამოყენებით გაზგაყვანილობის მონტაჟი ხორციელდება საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 27 თებერვლის №43 მითითების საფუძველზე საქართველოს სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების რეესტრში შეტანილი „ALUPEX-ის აირის მილების სისტემების მონტაჟის სქემები, მეთოდები და მონტაჟის წესები“-ს მოთხოვნათა შესაბამისად.

ამასთან, მილების მექანიკური დაზიანების თავიდან ასაცილებლად, გათვალისწინებულია მათი მოთავსება დამცავ მოწყობილობაში.

რაც შეეხება მილების დაზიანებას გაცნობებთ, რომ მეტალოპლასტიკის მრავალშრიანი მილები გამოირჩევა შემდეგი ტექნიკური მახასიათებლებით:

- მილების გარე და შიგა სუდაპირები ელექტროგაუმტარია, შეჯვა და ტოტე მდგრადია, ნებისმიერ პირობებში წყალში უხსნადია, მედეგია ორგანული და არაორგანული გამხსნელების მიმართ, მაგრამ იხსნება 80 °C ტემპერატურის ზემოთ მხოლოდ ბენზოლში, აზოტმჟავა, ქლოროფორმში.

- მილის ზომები 90 °C ტემპერატურამდე არ იცვლება, ხოლო 95 °C -ის ზემოთ უმნიშვნელოდ ფართოვდება მილის სტრუქტურის შეუცვლელად.

თუმცა აღვნიშნავთ, რომ არათანაზომიერი მექანიკური ზემოქმედების შედეგად შესაძლოა დაზიანდეს როგორც მეტალოპლასტიკის, ასევე ფოლადის მილებიც. მილების მექანიკური დაზიანების შემთხვევაში, ავარიული სიტუაციის სალოკალიზაციო სამუშაოების წარმოების ფარგლებში, შპს „ყაზტრანსგაზ-

თბილისის“ შესაბამისი სამსახურები სრულიად უსასყიდლოდ განახორციელებენ ავარიისა და მისი შედეგების ლიკვიდაციას.

ამასთან, მიღების მექანიკურ დაზიანებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ დაზიანებაში ბრალეულ მხარეს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ასევე გაცნობებთ, რომ მეტალოპლასტიკის მიღებით გახმომარაგების ქსელის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მომხმარებლებისთვის ხორციელდება უსასყიდლოდ.

თუ მომხმარებელი გამოთქვამს სურვილს, რათა მისი ბინის გახმომარაგება განხორციელდეს ალტერნატიული გზით ან სხვა მასალების გამოყენებით, ამ შემთხვევაში მომხმარებელმა უნდა მოგემართოს ოფიციალური განცხადებით. ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების შემდეგ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ აღნიშნულ მომხმარებელს გაუწევს შესაბამის მომსახურებას.

პატივისცემით.

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“
სპეციალური მმართველი

ა 

ა. თაქთაქიშვილი

შემს: თ. ლვანიძე
577 37 37 00